შპს VTEL ჯორჯია
0171, თბილისი, ალმასიანის ქუჩა № 23/25
ტელ: + 995 (32) 242 92 22 | ფაქსი: + 995 (32) 242 92 92
office@vtel.ge
მაქსიმალი წარმოადგენს VTEL ჯორჯიას სავაჭრო ნიშანს

№

ქ. თბილისი 5 აპრილი, 2013 წ.

ქ. თბილისის მერიას

მოგახსენებთ, რომ თქვენს წარმოებაშია 2012 წლის 4 ოქტომბრის №არ184441 განცხადება, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ № 29-31-33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. (ს/კ: 01.14.14.004.023).

გაცნობებთ, რომ შპს "ვიტელ ჯორჯია" წარმოადგენს უკაბელო ინტერნეტ პროვაიდერს, რომელსაც ჭავჭავაძის 29-31-33-ში არსებულ კორპუსში, იჯარით აქვს მიღებული ფართი, სადაც განთავსებულია ჩვენი კომპანიის ტექნიკური ოფისი.

აღნიშნული ოფისიდან ხორციელდება კომპანიის ინტერნეტ აბონენტთა ტექნიკური მომსახურება და უკაბელო ქსელის წარმოება. კომპანიამ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან სხვადასხვა დროს მიიღო სიხშირული ლიცენზიები, საქართველოს რეგიონებში განთავსებულ მის ქვესადგურებთან სატრანსმისიო კავშირის განსახორციელებლად.

სიხშირული ლიცენზიების მისაღებად, კომპანიამ აანაზღაურა ლიცენზიების ღირებულება, გასწია ხარჯი სატრანსმისიო ქსელის მოსაწყობად.

მაღალსართულიანი კორპუსის განთავსება, იმ პოზიციებით, რაც მოთხოვნილია, შეუძლებელს გახდის ჩვენი კომპანიის მიერ მიღებული, ლიცენზირებული სიხშირეებით სარგებლობას, ვინაიდან, კორპუსის აღმართვა გაგვიწყვეტს კავშირს ჩვენს ქვესადგურებთან. ამგვარად, კომპანიას მიადგება ერთი მხრივ, ფინანსური ზარალი, ვინაიდან, ლიცენზიებში გადახდილი თანხა, არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, გარდა ამისა, სატრანსმისიო კავშირის გაწყვეტა გამოიწვევს ინტერნეტის მომხმარებელი არა ერთი აბონენტის მომსახურების გარეშე დატოვებას.

გთხოვთ, ყოველივე ზემოთთქმული მიიღოთ მხედველობაში მშენებლობის ნებართვის გაცემაზე მსჯელობისას.

პატივისცემით,

გიორგი რობიტაშვილი
ტექნიკური დირექტორი